შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№23 (9.539)

29 ივნისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

რა აჩვენა პროგრამამ „კარდაკარ“?

დედოფლისწყაროში, ისევე როგორც მთელ საქართველოში,ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ საველე სამუშაოები დაასრულა. პროექტმა „კარდაკარ“ ჩვენს რაიონში ნაყოფიერად იმუშავა. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის წარმომადგენელმა სოსო ბეჟანიშვილმა განუცხადა.მისი ინფორმაციით, აქციის შედეგად მოხდა ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტება, კერძოდ, რეგისტრატორებმა სიიდან ამოიღეს გარდაცვლილი და საზღვარგარეთ წასული მოქალაქეები. „მართალია, ზოგიერთი ოჯახის მხრიდან ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ზოგს არ უნდოდა, განცხადება დაეწერა და ოფიციალურად დაეფიქსირებინა ოჯახის წევრის საზღვარგარეთ ყოფნა. ეს, ალბათ, იმისი ბრალია, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ მიუჩვეველია ამგვარ პროექტებს“-განაცხადა სოსო ბეჟანიშვილმა და დასძინა, რომ პროექტმა „კარდაკარ“ დედოფლისწყაროს ამომრჩეველთა სიების რეალური შედეგი დადო.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მამუკა კაციტაძის განცხადებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში კომისია ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას გაითვალისწინებს.

როგორც მან განაცხადა, მუშაობის პროცესში ნებისმიერი ალტერნატიული “კარდაკარის” შედეგად აღმოჩენილ უზუსტობას მიაქცევს ყურადღებას, თუ პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები ინფორმაციას 10 ივლისამდე მიაწვდიან.

,,მიმდინარე წლის 10 ივლისამდე ნებისმიერმა ორგანიზაციამ, ნებისმიერი მეთოდით გადამოწმების დროს, ეს იქნება კარდაკარი, თუ სხვა მათ მიერ შემუშავებული მეთოდი, მომაწოდოს ინფორმაცია უცხოეთში გასულ მოქალაქეებზე, გარდაცვლილებზე, მიწერებზე შესაბამისი საფუძვლის თანხლებით. საჯაროდ ვიძლევი გარანტიას, რომ ყველა ეს ნაკლოვანება იქნება გათვალისწინებული ამომრჩეველთა სიების ფორმირების დროს”, – განაცხადა კაციტაძემ.

მამუკა კაციტაძის განცხადებით,”კარდაკარის” აქციის შედეგად შესაძლებელი გახდა, სიებიდან 1000-მდე გარდაცვლილის ამოღება და საქართველოდან გასული მოქალაქეების იდენტიფიცირება.

დაგეგმილია განეული საქმიანობის მონიტორინგი, სიების საბოლოო ფორმირება კი 1 აგვისტომდე უნდა განხორციელდეს.

ინგა შიოლაშვილი

„წლევანდელი წელი მიწათმოქმედთათვის არცთუ სახარბიელოა“...

მართალია, ამინდი მაინცდამაინც არ ანებივრებს დედოფლისწყაროელ მიწათმოქმედებს, წამდაუწუმ ისინსლება, წვიმს და მკას აფერხებს, მაინც ალოობა შირაქში ძალაში შევიდა. ქერის აღება დასასრულს მიუახლოვდა, ხორბლისა კი საწყის ფაზაშია.

- წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 4 ათას ჰექტარზე მეტი ქერის ნათესი იყო, ხორბალი კი 16—17 ათას ჰექტარზე ეთესა. – გვითხრა გამგებლის მოადგილემ სოფლის მეურნეობის დარგში რევაზ ქოქიაშვილმა, მისივე განმარტებით ,ისინი ინტენსიურად მუშაობენ, ყოველდღიურად აგროვებენ ინფორმაციას და ყოველკვირეულ მონაცემებს უგზავნიან როგორც გუბერნიის შესაბამის სამსხურს, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს. კითხვაზე, არის თუ არა საკმარისი ტექნიკა და ანაზღაურებს თუ არა თვითღირებულებას და უტოვებს თუ არა მიწის მფლობელს მოგებას მთავრობის მიერ შემოთავაზებული 40+1 თეთრი, ბატონი რევაზ ქოქიაშვილი პასუხობს, რომ „ტექნიკა საკმარისია და არც ერთი სოფელი არ განიცდის კომბაინების თუ მანქანების დეფიციტს. რაც შეეხება ხორბლის ფასს, ნორმალურია. წელს კარგი მოსავალია და, შესაბამისად, ხალხიც კმაყოფილია. არიან წისქვილკომბინატები, რომლებიც 45 თეთრსაც იძლევიან კილოგრამ ხორბალში, მაგრამ ფასის ეტაპობრივად გადახდას სთავაზობენ გამყიდველებს. მაგალითად, გორის პურკომბინატი შემოვიდა ამ წინადადებით“. სხვა პოზიცია აქვთ თავად ფერმერებს. გვესაუბრება სოფლის მეურნეობის გამოცდილი სპეციალისტი ჯემალ კვანჭილაშვილი:

- წლევანდელი წელი მემინდვრეებისათვის არცთუ მთლად სახარბიელოა. მართალია, ზამთარში კარგი თოვლები მოვიდა და საშემოდგომო ნათესს უნდა ემუშავა, მაგრამ, იმის გამო, რომ ხვნა–თესვა საკმაოდ ძვირადღირებული პროცესი გახდა, საწვავიც და სათესლე მასალაც ძვირია, გაძვირდა ტექნიკის მომსახურებაც, წინა წლის მოსავალი დაბალი ფასის გამო ძვირად და იაფად გაიყიდა და ხალხს ეკონომიურად ძალიან უჭირს, საშემოდგომო კულტურების თესვა დაგვიანებით მოხდა, ნოემბრის ბოლოს, დეკემბერში დაითესა ბევრი ნაკვეთი, მარცვალმა გაღივება და თოვლის ქვეშ ბორჯის გაკეთება ვერ მოასწრო, გაზაფხულზე კი ისეთი ქარები იყო, ნახევარი ნათესები წაიღო, საკმაოდ დააზიანა თქეშად მოსულმა წვიმებმა და ნიაღვრებმაც. შედარებით კარგი შედეგი მოგცვა იმ ნაკვეთსებმა, სადაც ნიადაგი გერმანული სპეციალისტების მითითებული ტექნოლოგიით თავის დროზე დაითესა – დაჩეხილ მიწაზე ნათესი მოიტკეპნა. ასეთმა ჯეჯილმა ბორჯის გაკეთებაც მოასწრო, ნიადაგიც მკვრივი იყო და ქარმა და ნიაღვარმა ბევრი ვერაფერი დააკლო. ნათესი თანაბრად განვითარდა, სიხშირეც ზომიერი ჰქონდა და შედეგიც კარგია: 3—4, ზოგან 5 ტონა ხორბლის მოლოდინი გვაქვს. ასე იყო ქერზეც. ერთმანეთის გვერდზე დაქარულ მიწებზე 1,2-1,4 ტონა ძლივს გაასწორა, მოტკეპნილზე 3 ტონა გავიდა. ასეა, ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული - მაღალტქნოლოგიურ და დროულ დამუშავებას ეკონომიკური შესაძლებლობები სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენი პროდუქცია ძნელად და იაფად იყიდება. ასე იყო გასულ წელსაც. ხორბალი 40—45 თეთრზე ძვირად არ გაყიდულა. ეს საუკეთესო შემთხვევაში, ძირითადად კი 40 თეთრზე იაფი იყო. აი, ახლაც, ამასწინათ ჩამოსულმა მინისტრმა მოჭრით თქვა: პურკომბინატი ხორბალს 40 თეთრად ჩაიბარებენ, მთავრობა კი 1 თეთრს დაუმატებსო. ეს ფასები თვითღირებულებასაც კი ვერ ანაზღაურებს, მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტია. აბა, თუ ჰექტარზე 4,5 და 6 ტონა მიიღე, კი ბატონო, მაგრამ რეალურად ეს ხომ გამორიცხულია, ხალხს 3 ტონის მიღება ენატრება. ახლა, პრაქტიკულად ხორბალში 35 თეთრს იძლევიან. ამას მიწის მაღალი გადასახადი ემატება და როგორ ანაზღაურდება თვითღირებულება?!

ერთი რამ ცხადია, მიწის დამუშავებას პრიმიტიული წესებით აზრი დაეკარგა. მოსავალმა იკლო. 10 და 20 ჰექტარი მიწის ხვნა—თესვა არარენტაბელურია. ამიტომ გამრავლდა მიტოვებული ნაკვეთები შირაქში. ან კარგად, დროულად და ყველა პირობის დაცვით უნდა დაამუშაო მიწა, რის შესაძლებლობაც ნაკლებადაა, ან... მიატოვო. რომ არ მიატოვო, ამისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება, სოფლის მეურნეობის ხაზით სუბსიდირება გაითვალისწინოს მთავრობამ, დაეხმაროს სათესლე მასალით და ფეხზე დააყენოს ეს დარგი, რომელიც ქვეყნის სიძლიერის საძირკველია.

ნაირა გორაშვილი

ფიროსმანის რამდენიმე ნახატი სასწრაფო აღდგენას საჭიროებს

გვ. 5

დენით კიდევ ერთი მოზარდი გარდაიცვალა



გვ. 7

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

პარლამენტმა 10 სახელმწიფოში საქართველოს ახალი ელჩები დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა 10 სახელმწიფოში საქართველოს ახალი ელჩების კანდიდატურები დაამტკიცა. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩობის კანდიდატების კენჭისყრა რიგგარეშე სხდომაზე გაიმართა.

შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე ირაკლი ყურაშვილი დამტკიცდა, რომელიც 2010 წლის 1 ივლისიდან დღემდე ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი იყო.

ბელარუსში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე ამავე ქვეყანაში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი დავით კოტარია გახდა. კანადაში ელჩის თანამდებობაზე ალექსანდრე ლაცაბიძე დაამტკიცეს, რომელიც აქამდე არგენტინის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრუფლებიანი ელჩი იყო. ალექსანდრე ლაცაბიძე ამავდროულად საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციაში (ICAO) საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იქნება.

კანადაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციაში (ICAO) საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ლევან მეტრეველი დიპლომატიურ საქმიანობას ბულგარეთში გააგრძელებს. არგენტინაში კი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე გელა სეხნიაშვილის კანდიდატურა დამტკიცდა.

დეპუტატებმა ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე მხარი ვახტანგ ჯაოშვილის კანდიდატურას დაუჭირეს. იგი დღემდე საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორად მუშაობდა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩად ბექა დვალის კანდიდატურა დამტკიცდა, რომელიც დღემდე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოსა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი იყო.

ინდონეზიის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩად ზურაბ ალექსიძის კანდიდატურა დამტკიცდა, რომელიც მანამდე საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორად მუშაობდა. თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი ზურაბ პატარაძე გახდა, რომელიც ამავე ქვეყანაში საქართველოს გენერალური კონსული იყო. ყატარში კი, პარლამენტის გადაწყვეტილებით, ელჩად ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე გახდა.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კომპეტენციის ზღვარი შეიცვალა

წელს აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სამ ძირითად საგანში განსხვავებული კომპეტენციის ზღვარის გადალახვა მოუწევთ.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე აბარებენ, 10 პროცენტით გაიზარდა.

თუ აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს სამ ძირითად საგანში, თითოეულში ცალ-ცალკე 25-პროცენტიანი ზღვარი უნდა გადაელახა, წელს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 პროცენტამდე გაიზარდა. უცხო ენაში კი აბიტურიენტებს 30-პროცენტიანი ზღვარის გადალახვა მოუწევთ. გამოცდების ეროვნულ ცენტრში განმარტავენ, რომ ცვლილების მიზეზი, მხოლოდ და მხოლოდ, ამ პროფესიებზე მზარდი მოთხოვნა გახდა. ამ გზით ცენტრი ეცდება ახალგაზრდებს შორის კონკურენცია გაზარდოს და მოთხოვნად პროფესიებზე მხოლოდ საუკეთესოები ჩაირიცხონ.

„მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა საგანში დარჩა 25 პროცენტს პლუს ერთი, ხოლო უცხო ენებში დარჩა 20 პროცენტს პლუს ერთი, მაგრამ ეს კომპეტენციების ზღვარი შედარებით გაზრდილია, მხოლოდ მომავალი იურისტების, მედიკოსების, ფარმაცევტებისა და სტომატოლოგებისათვის. იურიდიული და სამედიცინო ტრადიციულად იყო მოთხოვნადი ფაკულტეტები და ჩვენი მიზანი იყო, რომ უფრო მოტივირებულ ბავშვებს მიეღოთ ამ კონკურსში მონაწილეობა“, – განაცხადა გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ხატია დეკანოიძემ.

შუა საუკუნეების ქართველი მოღვაწეების შესახებ სპეციალური ვებ-გვერდი შეიქმნა

შუა საუკუნეების ქართველი მოღვაწეების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება ინტერნეტით გახდა შესაძლებელი. შესაბამისი ვებ-გვერდი www.qim.ge საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში შეიქმნა.

„პორტალზე თავმოყრილია IV-XVIII საუკუნეებში მოღვაწე ქართველი საერო და სასულიერო პირების შესახებ როგორც სამეცნიერო, ასევე ვიზუალური მასალა. ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, გაეცნოს მეფეების, წმინდანების, საეკლესიო პირების, მაშენებლების, მწერლებისა და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას, ისტორიული პერსონებისადმი მიძღვნილ სტატიებს. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართული ხუროთმოძღვრების, ჭედურობის, ნაქარგობისა და ხელნაწერების შესახებ“, — განაცხადეს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროში.

სამინისტროს ცნობით, პორტალი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბაზაზე განხორციელებული სამწლიანი სამეცნიერო კვლევის ფარგლებში შეიქმნა. მასზე მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა ჯგუფი მუშაობდა. სამეცნიერო პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 150 000-მდე ლარით დააფინანსა. ვებ-გვერდი საინტერესოა დარგის სპეციალისტებისთვის, მოზარდებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული პირებისთვის. ამასთან, ის პოპულარიზაციას გაუწევს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

„ჩემპიონი“ კვლავ ტრიუმფისთვის მზადაა

ახლახანს დედოფლისწყაროს კულტურის სახლი კიკ-ბოქსინგის მოყვარული გულშემატკივრით შეივსო. ყველა ელოდა საინტერესო ორთაბრძოლების დაწყებას. დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“ ატარებდა შეჯიბრს ეგიდით: „რაინდთა ტურნირი“. დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“ მასპინძლობას უწევდა ქ. თბილისის კლუბ „მებრძოლის“ (ხელმძღვანელი ილაშა ჭურაძე) და გურჯაანის სპორტული კლუბის „სპარტას“ (ხელმძღვანელი რამაზ მანგოშვილი) სპორტსმენებს.

შეხვედრები დაიწყო პატარა ასაკის სპორტსმენებით. მაყურებელთა აღტაცებულმა-შეძახილებმა გაამხნევა პატარა მებრძოლები, მათაც თავი არ დაზოგეს და მართლაც რაინდული სანახაობა უჩვენეს გულშემატკივარს.შემდეგ, წონითი კატეგორიების ზრდასთან ერთად, ორთაბრძოლების მიმდინარეობაც უფრო მეტად საინტერესო გახდა და დარბაზიც მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა ყველა გამარჯვებულს. სულ ჩატარდა 15 სამატჩო შეხვედრა კიკ-ბოქსინგში.აქედან 13 ორთაბრძოლა დედოფლისწყაროს გუნდ „ჩემპიონის“ სპორტსმენებმა მოიგეს.აი, ისინიც, დედოფლისწყაროს გუნდ „ჩემპიონის“ სპორტსმენები: ვალერი კვიწინაშვილი (ჯაფარიძის საჯარო სკოლა), გიორგი გომერშმიდი (ჯაფარიძის საჯარო სკოლა), ზურაბ ჯეთერიშვილი (ჯაფარიძის საჯარო სკოლა),მალხაზ უთრუთაშვილი (დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა), ალიკა ბექაური (მეორე საჯარო სკოლა), დავით ჯინაშვილი (1-ლი საჯარო სკოლა), გიორგი ბენაშვილი (1-ლი საჯარო სკოლა), ვანო ნათელაძე(1-ლი საჯარო სკოლა), ლაშა ელყიანშვილი (რუსულ-ქართული სკოლა), რაჯი ლაზარეთიანი(ჯაფარიძის საჯარო სკოლა), ვალერივაჭრიძე (რუსულ-ქართული სკოლა).

თამაზ ყარაგვეზაშვილი: საკმაოდ კარგი და ლამაზი ორთაბრძოლები გამართა ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა. „რაინდთა ტურნირისთვის“, რომ იტყვიან, საგულდაგულოდ მოვემზადეთ. ბავშვებმა თავი არ დაზოგეს და შედეგიც ვიხილეთ. მალე ჭაბუკები უფროს ასაკში გადავლენ და იმედი გვაქვს ,კარგი ნაკრები გვეყოლება.

ამ შჯიბრზე კი ძლიერ და კარგ გამოსვლებში სუსტი მხარეებიც დავინახე და ახლა მის გამოსწორებაზე ვიმუშავებთ.მთავარია, გვაქვს შემართება და საბრძოლო განწყობა. უახლოეს მომავალში მორიგ შეხვედრებს ჩავატარებთ და უფროსი ასაკის სპორტსმენებიც იასპარეზებენ.

უღრმესი მადლობა ჩვენს უამრავ გულშემატკივარს, რომ ესწრება ჩვენს ტურნირებს, ყველა იმ პიროვნებას, ვინც მხარში დაგვიდგა და დაგვეხმარა ღონისძიების ჩატარებაში. მადლობა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ლევან ნატროშვილს, ბატონ ივანე შანშიაშვილს- სპორტისა და კულტურის ცენტრის დირექტორს. “რაინდთა ტურნირის“ მსვლელობა მიჰყავდა მაგდა უთრუთაშვილს. მაგდა საკმაოდ ოსტატურად და ლამაზად ახდენდა სპორტსმენთა წარდგენას, დახასიათებას და გულშემატკივარს სპორტსმენთა გამხნევებისკენ მოუწოდებდა.

მაგდა უთრუთაშვილი: ძალიან გამიხარდა, როცა შემომთავაზეს წამეყვანა შეჯიბრის მსვლელობა. თავიდან ცოტას ვღელავდი და მერე სპორტსმენების ვაჟკაცურმა გამოსვლებმა ისე გამახალისა და მხნეობა მომცა, რომ სულ მინდოდა მაყურებლისთვის მეტი რიხითა და შემართებით შემეტყობინებინა „ჩემპიონის“გუნდის გამარჯვებულის ვინაობა. განსაკუთრებით კი ვღელავდი ჩემი ძმის -მალხაზის ორთაბრძოლაზე, მამან კი, აშკარა უპირატესობით დაამარცხა მეტოქე და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიყვარს კიკ-ბოგსინგი, მართლაც რაინდული სპორტია.

ვალერი კვიწინაშვილი: დიდი ხანი ველოდებოდი ამ შეჯიბრის ჩატარებას და ყველა ღონე ვიხმარე, კარგად გამოვსულიყავი. მოწინააღმდეგე პირველივე რაუნდში დავამარცხე და ძალიან მიხარია, მომავალში უკეთ ვივარჯიშებ.

ვანო ნათელაძე: დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის, როცა ვასპარეზობ ჩემს რაიონში, ჩემი გულშემატკივრის წინაშე. ამიტომაც, ამ „რაინდთა ტურნირისთვის“ საკმაოდ დატვირთულად ვემზადებოდი, მიუხედავად სასკოლო გამოცდებისა.

ჩემი მოწინააღმდეგე საკმაოდ გამოცდილი და ძლიერი სპორტსმენი იყო და ორთაბრძოლაც საკმაოდ დაძაბულად ჩავატარე და გავიმარჯვე. მიხარია, რომ კიკ-ბოქსინგს ამდენი გულშემატკივარი ჰყავს.

დათო ჯინაშვილი: მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ გავიმარჯვე და ვასახელე რაიონი. გავახარე ჩემი ახლობლებიც, მეგობრებიც.კიკ-ბოქსინგი მართლაც რაინდული სპორტია და ყველას ვურჩევ, ევარჯიშოს ჩვენთან ერთად.პირადად მე, გუნდ „ჩემპიონში“ ვარჯიშმა ბევრი რამ მომცა და ვეცდები, უფრო მეტს მივაღწიო.

ზურაბ ჯეთერიშვილი: კიკ-ბოქსინგი ჩემი ცხოვრების წესია. უკვე რამოდენიმე წელია, ვვარჯიშობ და მრავალი შეჯიბრი მოვიგე. ვარ საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ როდესაც ჩვენს რაიონში გამოვდივარ შეჯიბრზე, სრულიად სხვა ღელვა მიპყრობს და პასუხისმგებლობის გრძნობაც მეტია. ამიტომ კარგად მომზადებული უნდა იყო, რომ ორთაბრძოლაც კარგი გამოვიდეს.

შალვა ხოსიტაშვილი: კიკ—ბოქსინგს რაიონში უამრავი მიმდევარი ჰყავს და მეც ბავშვობიდან სულ ვოცნებობდი, კარგი სპორტსმენი გავმხდარიყავი.ჩვენს გუნდში ვისწავლე ბევრი რამ, გავკაჟდი და გავძლიერდი. გავხდი მეტად ამტანი და მოხერხებული. ყველა ჩემს თანატოლს ვურჩევდი, ევარჯიშა და ესახელებინა ოჯახიც , რაიონიც და ქვეყანაც.

ვალერი ვაჭრიძე: „რაინდთა ტურნირმა“ ჩვენი ბავშვები გაახარა და, მეც მათ შორის. განსაკუთრებულად მე ვღელავდი იმიტომ, რომ ჩემი ორთაბრძოლა ბოლოს შედგა და არ მინდოდა მაყურებლის საზეიმო განწყობა და საბრძოლო ჟინი შემენელებინა. კმაყოფილი ვარ რომ არ გავუცრუვე ხალხს იმედები და როგორც მეუბნებიან ლამაზი ორთაბრძოლით დავხურე შეჯიბრი.

გიორგი ბენაშვილი: კიკ-ბოქსინგი,როგორც სპორტის რაინდული სახეობა, ჩემს ხასიათში მალევე ჩაჯდა და თავიდანვე გულიანად მოვეკიდე. ჯერ გამიჭირდა ვარჯიში, ვიწვნიე მარცხის სიმწარეც და, ახლა უკვე ზედიზედ ვიმარჯვებ და ძალიან მიხარია. მომავალში უფრო გავაუმჯობესებ მიღწევებს.

სასიხარულოა , რომ კიკ-ბოქსინგი ასევე ვითარდება რაიონის სხვა სოფლებშიც. კერძოდ, ზემო მაჩხაანში, სადაც ხელმძღვანელობს გენადი ნატროშვილი და სოფელ მირზაანში—იოსებ ზოიძე. ორივე მწვრთნელი გულიანად მოეკიდა ამ, მართლაც, სასიკეთო საქმეს და დაისახეს მიზნად ,რაც შიძლება მეტი ახალგაზრდა ჩართონ ორთაბრძოლებში.

შეჯიბრის ორგანიზებულად ჩატარებას ხელმძღვანელობდა მსაჯთა ბრიგადა, გვერდითი მსაჯები:საქართველოს ჩემპიონები და საერთაშორისო ტურნირებზე გამარჯვებულნი: არსენ ყარაგვეზაშვილი, კახა ტოკლიკიშვილი.რეფერი დავით ქადაგიძე, შეჯიბრის მთავარი მსაჯი ნოდარ ცხოვრებაძე.

მიხეილ სააკაშვილი - არ დავუშვათ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართავს, არ დაუშვან საარჩევნო მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა ავლაბარში, პრეზიდენტის სასახლეში გუბერნატორებთან და რეგიონების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრაზე განაცხადა, გარკვეული ძალები შეეცდებიან, გაავრცელონ სიცრუე თანამდებობის პირების მუშაობის შესახებ.

„ამიტომ იცოდეთ, რომ ყველაზე სწორი გზა, დავამარცხოთ სიცრუე, არის სამაგალითო მუშაობა. სამაგალითო მუშაობა ხალხის თავისუფალი არჩევანის დასაცავად. სამაგალითო მუშაობა იმისთვის, რომ ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, მათ შორის ვერც სახელისუფლებო ძალამ, ვერ შეძლოს უკანონო გავლენის განხორციელება ამომრჩევლის ნება-სურვილზე. არ დავუშვათ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება, მით უმეტეს საარჩევნო მიზნებისთვის. სამაგალითო მუშაობა იმისთვის, რომ არ მოხდეს ამ რესურსის რაღაც სახით ბოროტად გამოყენება და ამავე დროს არ შეჩერდეს ერთი წუთითაც კი სამთავრო მუშაობა იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმა და ამ აღმშენებლობით გეგმებს ვერ შევაჩერებთ, რადგან ეს გეგმები არც არჩევნების წინ დაწყებულა და არც არჩევნებით მთავრდება. სამაგალითო მუშაობაა საჭირო დემოკრატიის და, შესაბამისად, საქართველოს მომავლის დასაცავად“, - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, ეს არის მისი თხოვნაც და კატეგორიული მოთხოვნაც თოთოეული სახელმწიფო მოხელის მიმართ, რადგან კანონის უზენაესობის მთავარი გარანტები პრეზიდენტთან ერთად ისინიც არიან.

„იმ ფონზე, როდესაც ცალკეული ძალები გადამეტებული ძალისხმევით ცდილობენ ჩვენი დემოკრატიის ყიდვას, ჩვენი პასუხი მათ მიმართ იქნება ორმაგი, ერთის მხრივ ამას დაუპირისპირდება სამართალდამცავი სისტემის პროპორციული ძალა, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენი გადამეტებული დისპროპორციული ნება, რომ მომავალი არჩევნები იყოს მაქსიმალურად გახსნილი, ტრანსფარენტული და დემოკრატიული“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

დავით ბაქრაძე: საარჩევნო პერიოდში ყველა სატელევიზიო არხი ყველა საკაბელო ქსელის მეშვეობით უნდა გადაიცეს

პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებით, საარჩევნო პერიოდში ყველა სატელევიზიო არხი ყველა საკაბელო ქსელის მეშვეობით უნდა გადაიცეს. როგორც მან ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში გამოსვლისას განაცხადა, პარლამენტში მუშაობენ ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც, ყველა სატელევიზიო არხს საშუალება მიეცემა, ხმა საზოგადოების უფრო დიდი ნაწილს მიაწვდინოს.

“ჩვენი მთავარი ამოცანაა, არჩევნები ჩატარდეს სამართლიან გარემოში. ქართული კანონდებლობა თავისუფლების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალ სტანდარტს უკვე აწესებს. მაგრამ ჩვენი სურვილი და ამოცანაა, ეს სტანდარტი კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ და ქართული დემოკრატია იყოს ისტორია, რომელიც მუდმივად პოზიტიურად ვითარდება”, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისი თქმით, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმისათვის, რომ მოსახლეობამ მეტი ინფორმაცია მიიღოს და ყველანაირი განსხვავებული აზრის მოსმენის საშუალება ჰქონდეს, რაც, საბოლოოდ, არჩევნების ძალიან მაღალი დემოკრატიული სტანდარტით ჩატარებას ემსახურება.

“შეიძლება გაჩნდეს კითხვა - რატომ საარჩევნო პერიოდში? პასუხი ძალიან მარტივია: საკაბელო და სატელევიზიო მაუწყებლებს შორის ნებისმიერი მოლაპარაკება, თუ რა ფასად და პირობებით მოხდება ამა თუ იმ არხის ჩართვა ამა თუ იმ კაბელში, კერძო კომერციული მოლაპარაკებაა. ამიტომ, სახელმწიფო, ბუნებრივია, კერძო ბიზნესურთიერთობაში მინიმალურად უნდა ერეოდეს. მაგრამ საარჩევნო პერიოდი თავისი შინაარსით ძალიან სპეციფიკურია და ამ დროს საზოგადოების ინფორმირებულობას და ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ საარჩევნო პერიოდში ჩვენ შესაძლებლად და მიზანშეწონილად გვესახება, გავაკეთოთ გამონაკლისი და დავავალდებულოთ საკაბელო მაუწყებლები და ტელევიზიები, მიაღწიონ შეთანხმებას იმ მიზნით, რომ ამ დავალდებულებით ჩვენმა ამომრჩეველმა მოიგოს, რომელსაც უფრო მეტი ინფორმაციის მიღების საშუალება ექნება”, - აღნიშნა დავით ბაქრაძემ და დასძინა, რომ უფასო სატელევიზიო რეკლამის სახით ასეთი პრეცედენტი უკვე არსებობს.

როგორც იგი განმარტავს, ტელევიზიისთვის რეკლამაც ჩვეულებრივი ბიზნესია, მაგრამ საარჩევნო პერიოდში კანონი ტელევიზიებს არჩევნებში მონაწილე პარტიების უფასო რეკლამის გადაცემას ავალდებულებს.

მოსწავლეებმა ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში კონცერტი გამართეს

სულ ახლახანს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ვიტყობინებოდით, რომ სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა, მათი პედაგოგის ჟანა ბაბაიანის ხელმძღვანელობით, ფიროსმანის თემაზე საკმაოდ მომხიბვლელი ღონისძიება გამართეს. ღონისძიებით მოხიბლულმა ნიკო ფიროსმანის მუზეუმის მმართველმა, ქალბატონმა ნელი გობეჯიშვილმა, მოსწავლეები მირზაანში მიიწვია. რამდენიმე დღეში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის გიორგი ყოჩიაშვილისა და კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორის ვანო შანშიაშვილის ხელშეწყობით, გამოიყო მიკროავტობუსი და მოსწავლეები ესტუმრნენ სოფელ მირზაანში ნიკალას სახლ-მუზეუმს.

შეხვედრა მართლაც ამაღელვებელი გამოდგა, ბავშვებმა საკუთარი პროტოტიპები, რომლებსაც ისინი ანსახიერებდნენ, უმალ ამოიცნეს. მართალია, მოსწავლეები კარგად იცნობდნენ ფიროსმანის თემას, მაგრამ მუზეუმის ექსკურსიამძღოლმა დავით ნატროშვილმა იმდენი საინტერესო რამ მოუყვა მათ ფიროსმანზე, რომ პატარები დიდი ინტერესით უსმენდნენ და უფრო მეტიც, კითხვებსაც უსვამდნენ. შეხვედრა ორმაგად საინტერესო და ამაღელვებელი გამოდგა თავად ფიროსმანის მუზეუმის თანამშრომლებისთვისაც, რადგან სწორედ სპეციალურად მათთვის, მოსწავლეებმა სახელდახელოდ გადაიცვეს ფორმები, საკუთარი როლები მოირგეს და კიდევ ერთხელ გაიმეორეს მშობლიურ სკოლაში ჩატარებული ღონისძიება. ეს კი მუზეუმის თითოეული თანამშრომლისთვის მართლაც დიდი საჩუქარი გახლდათ. განა სად იქნებოდა იმაზე უფრო უპრიანი ფიროსმანის თემაზე მომზადებული ღონისძიების ჩატარება, თუ არა მისი ნახატების გარემოცვაში, იქ, სადაც მისი ეული სული, მუდამ ტრიალებს. საინტერესო ის გახლდათ, რომ თავად თანამშრომლებისთვისაც ბავშვების მიერ ფიროსმანზე მომზადებული მასალებიდან ბევრი რამ სიახლე აღმოჩნდა, რაც მანამდე მათთვის უცნობი გახლდათ. ასე რომ,პატარების ნაშრომ - ნაღვაწი ინფორმაციულობის მიწვდის მხრივაც მეტად შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელი აღმოჩნდა.

დასასრულს ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლეებმა მუზეუმის თანამშრომლებისგან მცირე საჩუქარი - ფიროსმანზე დაწერილი წიგნი და ტკბილეული მიიღეს. ამასთან ერთად მიიღეს მიწვევა ფიროსმანობაზე და შეთავაზებაც, რომ ნორჩები სახალხო დღესასწაულზე იგივე რეპერტუარს გაიმეორებენ.

მასალის დაბეჭდვამდე მუზეუმის შესახებ ახალი ინფორმაციაც მოვიპოვეთ. როგორც გავიგეთ, მიმდინარე წელს, ფიროსმანობის დღესასწაულამდე, კულტურის სააგენტო თავისი ინიციატივით რესტავრაციას გაუკეთებს ფიროსმანის ეთნოგრაფიულ სახლს და აღდგენა - რესტავრაციას ჩაუტარებს რამდენიმე ორიგინალს.

ლალი მეხრიშვილი

„მხიარული სტარტები“

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაგა-ბაღში მისი დირექტორის, ქეთევან ჩალახეშაშვილის ინიციატივით გაიმართა სპორტულ-გამაჯანსაღებელი შეჯიბრი სახელწოდებით „მხიარული სტარტები.“ მასპინძელი ბავშვების გარდა შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ დედოფლისწყაროს №1 და №3 ბაგა-ბაღების უფროსჯგუფელი აღსაზრდელები.

დილიდანვე ხალხმრავლობა შეინიშნებოდა №2 საბავშვო ბაგა-ბაღში, სადაც ბავშვების საგულშემატკივროდ მათ დედებს, მამებს, და-ძმებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ბებიებსა და პაპებსაც კი მოეყარათ თავი. ღონისძიება დილის ათ საათზე დაიწყო. თითოეული გუნდი 15 ბავშვისგან შედგებოდა, გუნდები ერთმანეთისგან ჩაცმულობით, სახელწოდებით და ემბლემებით განირჩეოდნენ. დედოფლისწყაროს №1 ბაგა-ბაღს(პედაგოგი თამილა იაკობიშვილი) სიმბოლურად ,,პირველები“ ერქვათ და მათი ემბლემებიც აქედან გამომდინარე ქაღალდზე დახატული ერთიანები იყო, ბავშვებს თეთრი მაისურები და ჯინსის შორტები ეცვათ. №2 ბაგა-ბაღის ,,შევარდენებს“ (პედაგოგი თამუნა ალადაშვილი) ლურჯი მაისურები და იგივე ფერის შორტები ემოსათ, გულზე ფურცლებზე ამოხატული შევარდენები ეწნიათ, ლამაზად იყო ჩაცმული ასევე № 3 ბაგა-ბაღის(პედაგოგი ნანა სეხნიაშვილი) აღსაზრდელთა გუნდი „მერცხლები“, მათ წითელი მაისურები და ცისფერი შორტები ეცვათ. მხიარული სტარტები საქართველის ჰიმნის მოსმენის შემდეგ დაიწყო, შემდეგ კი, თითოეულმა გუნდმა წარმოადგინა თავისი მისალმების ნომერი.

ბავშვების გამოსვლას, გუნდების მისალმებას და ჩაცმულობას აფასებდა სპეციალურად შერჩეული ჟიური, რომელსაც წარმოადგენდნენ დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის სპეციალისტები ნაზი სიბაშვილი, მაია ყოჩიაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტი მერი საბიაშვილი.

გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სირბილში, ბურთის კალათში ტყორცნაში, სკამებზე სრიალში, რგოლებში გაძვრომაში და ხტომაში. ასევე გაიმართა ინტელექტუალური შეჯიბრიც, რომელიც კუბიკზე განლაგებული ასოების და ფიგურების სწორად დალაგებას შეეხებოდა. ყველაზე საოცარი და ამაღელვებელი მაინც მშობლების გულშემატკივრობა აღმოჩნდა, რომლებიც საკმაოდ ემოციური შეძახილებით ამხნევებდნენ საკუთარ შვილებს და სწრაფი ქმედებისკენ მოუწოდებდნენ მათ, რაც პატარა სპორტსმენებში პირველობის და გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილს აღვივებდა.უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღონისძიება საკმაოდ კარგი ინიციატივა გახლავთ და ის ხშირად უნდა ტარდებოდეს, რათა ჯანმრთელი მომავალი თაობა აღვზარდოთ. ჟიურიმ გამარჯვებული გამოავლინა. გუნდების რეიტინგი ასე გამოიყურებოდა: 27 ქულა ,,მერცხლებს“(№3 ბაგა-ბაღი), 30 ქულა ,,პირველებს“(№1ბაგა-ბაღი), ხოლო 31 ქულა ,,შევარდენს“(№2 ბაგა-ბაღი).

სკოლამდელი და სკოლისგარეშე საღმზრდელო ცენტრის დირექტორისგან, ბატონი მურად ოზაშვილისგან ღონისძიებაში მონაწილე ბიჭუნებმა სამახსოვრო მაჯის საათები მიიღეს, ხოლო გოგონებმა — ლამაზი საფულეები. ამას გარდა, გუნდის კაპიტნებს გადაეცათ კედლის საათები, ხოლო გამარჯვებული გუნდის კაპიტანს სამახსოვრო სურათი. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტები და სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები. ამ დღის აღსანიშნავად მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა მურად ოზაშვილთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

ლალი მეხრიშვილი

ფიროსმანის რამდენიმე ნახატი სასწრაფო აღდგენას საჭიროებს

ფიროსმანის რამდენიმე ნამუშევრის ორიგინალი სასწრაფო აღდგენას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დაკარგვის საფრთხე არსებობს - ამის შესახებ ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა „შირაქს“ აცნობა. წლების მანძილზე სოფელ მირზაანის სახლმუზეუმში შესაბამისი პირობების არარსებობამ უნიკალურ ნამუშევერებს თავისი დაღი დაასვა.

როგორც ფიროსმანის მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სასწრაფო რესტავრაციას ფიროსმანის ორიგინალები „წარაფი“, „მწოლიარე ქალი“ და „თამარ მეფე“ საჭიროებს:

„წლების მანძილზე მირზაანის საგამოფენო დარბაზში შესაბამისი პირობები არ გვქონდა. გათბობისა და განათების მონტაჟი მხოლოდ ახლახან მოხერხდა. ბევრი სურათია დაზიანებული, მათ შორის რამდენიმე მათგანის დაკარგვის საშიშროებაც რეალურად არის. ახლახან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ დაასრულა ორიგინალების მდგომარეობის შესწავლა. პროცესში ცნობილი ექსპერტები მონაწილეობდნენ და უახლოეს მომავალში გაირკვევა, პირველ რიგში რომელი ნამუშევრების სარესტავრაციო სამუშაოები დაიგეგმება. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ორიგინალს დაკარგვის საფრთხე ემუქრება. „მწოლიარე ქალს“ სახე მთლიანად ეშლება, ცუდ მდგომარეობაშია ასევე „წარაფი“ და „თამარ მეფე“... დიდია ალბათობა, რომ მათი ფრაგმენტების ნაწილი გაქრეს, რომლის აღდგენაც მომავალში გართულდება. თავდაპირველად, ის ნამუშევრები აღდგება, რომელთაც უფრო მეტად უჭირთ. ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და თანხები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ გამოყო,“ - განუცხადა „შირაქს“ ფიროსმანის მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა.

წინასწარი ინფორმაციით, სამივე ორიგინალის სარესტავრაციოდ 70 000 ლარამდე თანხა გამოიყოფა. ჩამოთვლილი ორიგინალების გარდა, კიდევ ორი ორიგინალის რესტავრაცია რამდენიმე თვეა მიმდინარეობს.

ილია მარტყოფლიშვილი

„დებეტის კლების გამო სოფლებს წყალი გრაფიკით მიეწოდება“...

ზაფხულია და წყალზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა. სოფელ ხორნაბუჯის მოსახლეობა კი უწყლოობას უჩივის და ამბობს, რომ წყალს მხოლოდ ორ დღეში ერთხელ იღებს და მასაც რამდენიმე საათით. „ძალიან გაგვეხარდა, როცა დედოფლისწყაროში წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა და ეზოებში წყალი შევიყვანეთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში წყალი თითქმის არ გვაქვს“ - ჩივიან სოფლის მცხოვრებლები. ამ საკითხის გარკვევის მიზნით ჩვენ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერს ლევან მჭედლიშვილს დავუკავშირდით. მისი განმარტებით, სოფლებს: ხორნაბუჯსა და სამრეკლოს წყალი დღეგამოშვებით მიეწოდება. „მოგეხსენებათ, ზაფხულის პერიოდში წყლის დებეტი იკლებს, მასზე მოთხოვნა კი მატულობს, ამიტომ სპეციალური გრაფიკი მუშავდება, რათა უწყლოდ არ დარჩეს დედოფლისწყაროს მოსახლეობა“-აცხადებს ლევან მჭედლიშვილი.

ინგა შიოლაშვილი

ბაღიდან - სკოლაში!

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საბავშვო ბაღში უფროსი ჯგუფის აღსაზრდელების გამოსაშვები საღამო გაიმართა. ღონისძიებაში უფროსი ასაკის 33 აღსაზრდელი იღებდა მონაწილეობას, რომელთაგან 15 მათგანი მიმდინარე წელს სკოლის კარს შეაღებს. ღონისძიება განსაკუთრებით პატრიოტული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული და თემა ჩვენს სამშობლოს და მის სიყვარულს ეხებოდა.

ღონისძიებაზე საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ინსცენირება, სადაც პატარები დარბაზში შეკრებილ მაყურებელს იმის შესახებ უყვებოდნენ, თუ რა სურთ მომავალში გამოვიდნენ და რა პროფესია ხიბლავთ. საინტერესო იყო, რომ მათ უმრავლესობას სამხედრო სამსახური იზიდავს და სურს მომავალში სამშობლოს დაცვას ემსახურონ. ზოგი მოსამართლეობას აპირებს, ერთ-ერთმა გოგონამ კი აღნიშნა, რომ სურს დედა გახდეს და ბევრი შვილი აღუზარდოს სამშობლოს. ამ ეპიზოდმა დარბაზის განსაკუთრებული მოწონება და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

№1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ლექსები მიუძღვნეს შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას „ვეფხისტყაოსანს“, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ და ქართული ანბანის 33-ივე ასობგერას. ლამაზად მორთულ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა ცეკვები და სიმღერები.

„სექტემბერმა მოკითხვა შემოგვითვალა, თითქოს ჩვენთან შეხვედრას ისე ელოდება, დღეებს ითვლისო. წმინდა სანთელივით ჩამოდნა ბაღში გასავლელი დღეები. და აი, დადგა განშორების წუთები. ვემშვიდობებით ჩვენს ჯგუფელებს, აღმზრდელებს, ძიძებს. ვემშვიდობებით და ყველას მადლობას ვუხდით გულწრფელი ამაგისთვის, ჩვენს პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის. ამ ამაგს არასოდეს დავივიწყებთ,“ - მადლიერებას გამოხატავდნენ საბა ღულუნიშვილი და ლუკა თეთვაძე.

ღონისძიების დასასრულს აღსაზრდელებს საბავშვო ბაღის დამთავრება მიულოცა და სკოლისკენ მიმავალი გზა დაულოცა ჯგუფის აღმზრდელმა თამილა იაკობიშვილმა, ხოლო მშობლის სტატუსით სიტყვაში გამოვიდა პედაგოგი მარინა ინასარიძე.

„მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი საბავშვო ბაღის დირექციას, პედაგოგიურ კოლექტივს და ტექნიკურ პერსონალს გვერდში დგომისთვის. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ნიჭიერი და ძლიერი ბავშვები გავუშვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო ნაკადმა დატოვა №1 ბაღი. დარწმუნებული ვარ, ისინი სულ მალე ასახელებენ ჩვენს საბავშვო ბაღს და მჯერა, რომ სკოლაში საუკეთესო დისციპლინითა და სწავლით გამოიჩენენ თავს. ზოგადად, ჩვენი საბავშვო ბაღი ტრადიციულად ყველა სეზონს და დღესასწაულს ღონისძიებით ეხმიანება და სპეციალურ საღამოს უძღვნის. ასე იყო ამჯერადაც. ვფიქრობთ, რომ საინტერესო საღამო გამოვიდა და მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. რაც მთავარია, კმაყოფილნი იყვნენ თავად ბავშვებიც და ჩვენი მიზანი სწორედ ეს იყო,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ღონისძიების ორგანიზატორმა, უფროსი ჯგუფის აღმზრდელმა თამილა იაკობიშვილმა.

გამოსაშვები საღამო „ტანგოთი“ დასრულდა. ცეცხლოვანი ტანგო საოცარი პლასტიკით შეასრულეს ილია შიუკაშვილმა და თიკა ბოტკოველმა. რითიც ფინალი ძალზე ემოციური გამოვიდა, ამაზე კი განსაკუთრებით მქუხარე აპლოდისმენტები და ბედნიერი სახეები მეტყველებდა.

ილია მარტყოფლიშვილი

„ნებიერი არ ვარ ბედის“...



ჯუმბერ უთრუთაშვილს კარგად იცნობს პოეზიის მოყვარული საზოგადოება. ის სამი პოეტური კრებულის ავტორია(„მამის ცრემლები“, „ზედაშე“ და „ამაღლება“). მას, როგორც დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარეს, დიდი წვლილი მიუძღვის რაიონის მწერალთა ანთოლოგიის - „სალბუნი“ გამოცემაში.

ჯუმბერ უთრუთაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია, მისი ლექსები შეტანილია ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მას ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიანიჭა ქართული კულტურის ამაგდარის წოდება.

გთავაზობთ მის ახალ ლექსებს.

* * *

ნებიერი არ ვარ ბედის,
არ მიფენენ გზაზე ვარდებს,
არც ვარ მოლაებე და ებედი,
სწორ გზიდან რომ გადავვარდე.
მარად სარჩოს ვეძებ, ვწვალობ,
მტერსაც არ ვაყენებ ზიანს,
მიკვირს, ღმერთი რად არ სწყალობს
ჰატიოსან ადამიანს.
ვცდილობ, გავუეე უფლის მცნებებს,
ღვთიურ მადლით გული ვაწრთო,
მაგრამ ვერ ვერევი ენებებს,
ცოდვა არ მასვენებს, მაკრთობს.
ისე მტკივა მომმის ჭირი,
როგორც ჩემი სულის სენი,
ვისაც მოსწონს სხვისი ძვირი,
კვლავ ხარობენ სულ ისინი.
თუ სატკივარს ვერ უწამლებს,
ლექსი რისი მაქნისია,
მე სიცოცხლის ბოლოს, დამლევს,
ეველაფერი მაქ ნისია.
სანამ გული ისევ გულობს,
მუზას დავდევ ემაწვილურად,
მომმემაც რომ შემიძულოს,
თავს არ ჩავთვლი განწირულად.

სულით თქვენთან ვართ

(დემეტრე თავდადებულს)

ვიუავი ქველი, მხნე და თავნება,
ქეიფისა და ქალთა მოეკარე,
მეფეს ესეთი ზნე რომ მავნებდა,
ამბობდა ჩემი ეველა მოეკარე.
ზოგჯერ გვირგვინი მემჩატებოდა,
მეჩვენებოდა ზოგჯერ კი მმიმე,
რამდენი მოემეც ჩემთვის კვდებოდა,
იმდენჯერ ვსვამდი სიმწრის ბარძიმებს.
ჯერ ისევ მედგა მაჯრობის ხანა
და დაღვინების ჟამი დგებოდა,
ცალი დამწამა ვერაგმა ხანმა,
ქართველთა სისხლით ვინც ვერ მღებოდა.
ჩემი ხალხი რომ გადამერჩინა,
ჯალათს ვეახელ ჰირმოცინარი,
აუგ სიცოცხლეს ასჯერ მერჩივნა,
რომ ვეოფილიეავ მკვდარი, მმინარი.
მე შევასრულე ჩემი მისია,
მამულისათვის თავი გავწირე,
კაცის სიცოცხლე რის მაქნისია,
დუშმანის დედა თუ არ ვატირეთ.
ეველა ტარიგი ერთად ვართ ცაში,
ქვეენის ხსნას ისევ ღმერთს ვევედრებით,
სულით თქვენთან ვართ ომს და გარჯაში.
სანამ იცოცხლებთ, არც ჩვენ მოვკვდებით.

ღმერთმა მარადის წინსვლით გატაროს

(შვილიშვილ მაგდას)

საწუთროს კიბეს მიჰყვები აღმა,
ღმერთმა მარადის წინსვლით გატაროს,
დე, შენმა სულმა და ჯკუა საღმა
გარიდოს მარად ებედს და ტარტაროზს.
ვარდის კოკორი ახლა იშლები,
და მაჯარივით ისევ ღვინდები,
ღვთის წყალობით გაქვს ის ზნე–ნიშნები,
კიდევ და კიდევ რომ გაბრწყინდები.
მშვენიერი ხარ სახით, იერით,
ჯიში და გენიც არ გაქვს ურიგო,
გახდები უფრო სათნო, ძლიერი,
სიკეთე სხვებს რომ ჩამოურიგო.
არ მიაყენო მტერსაც ზიანი,
იყავი უფლის მცნების დამცველი.
არავის მოსწონს ადამიანი,
დედინაცვალზე დედის გამცვლელი.
ის ლუკმა–ჰური თაფლზე ტკბილია,
რასაც სდის შენი ოფლის სურნელი,
რითაც დაგვნესტრა დიდმა ილიამ,
იმ სენით იყავ განუკურნელი.

* * *

სულ მინდა, რომ ლექსი ვჩარხო,
სულ მინდა, რომ მუზას ვდიო,
იქნებ, წერით შვება ვნახო
და სიხარულს მეც ვეწიო.
იქნებ წერით დროსა ვკარგავ,
იქნებ მიჰერობს ფანტაზია,
მაგრამ რითმით ლექსს რომ ვქარგავ,
ოცნებაც ხომ ლამაზია.
ვიცი, ჩემი ლექსის წერით
არავის არ ვუშლი რამეს,
წერით გამითეთრდა წვერი,
გავათეთრე ბევრი ღამე.
ამიტანა კაცი წერამ,
მუზამ დამიმონა მეცა,
ლექსი მექცა ბედისწერად,
ლექსს მკარნახობს ძილშიც მე ცა.

* * *

ქართულ სიტყვას შევეჯიდე,
სანთელივით ვქნი სტრიქონებს,
რაც ეს ჯვარი ავიკიდე,
გულს ვახარებ, თავს ვიწონებ.
არ დავეძებ სხვა სიმდიდრეს,
ოღონდ მუზა სულ თან მახლდეს,
რომ ძილშიაც რითმებს ვმკიდე
და ლექსებში გადავსახლდე.
დაე, ღმერთმა და გამჩენმა
ლექსს და მუზას არ გამეაროს,
ოღონდ ვნატრობ, რომ მაჩვენა,
ცინცხალ რითმათა სამეარო.
დაე, ჰოეზიის დიდ ზღვას
ჩემი ლექსიც შეერიოს,
ღმერთმა ტანჯვა იმით მიზღას,
სიკვდილს ლექსით შევერიო.

* * *

არ მიგლეჯია სხვის ხელით ნარი,
არც მიჯამია ლუკმა არამი,
ჩემმი ღირსება უფრო ის არი,
გულს რომ მიწუხებს სხვის ჭირ–ვარამი.
არავინ არის აბრამის კრავი,
ეველა კაცს თავის ცოდვა ამძიმებს,
მეც არ მგონია წმინდანი თავი,
ზოგჯერ ცოდვები არც კი მამინებს.
სხვისი განკითხვის არა მაქვს ნება,
რა მრჯის, ცოდვებზე სხვას მივუთიტო,
თუ არ მივდიე უფალ–ღვთის მცნებას,
განსასჯელი ხომ გავხდები თვითონ.
ან სხვა განვსაჯო, მაქვს რა უფლება,
როცა თვითონაც ვარ განსასჯელი,
გულს რომ სატანა დაეუფლება,
ალბათ ეს არის მმიმე სასჯელი.
უცოდველს ქვეენად კაცი ვერ ნახავს,
ცოდვით სავსეა რადგან სამეარო,
ცოდვების გამო სხვას კი ნუ ძრახავ,
ეცადე, ცოდვა შენს გულს აჰეარო.
შენ თავთან თუ არ ცრუობ და ფლიდობ
და ცოდვით სხვის სულს არ აზიანებ,
უფალი ცოდვებს მაშინ შეგინდობს
და გულს ღვთის მადლით გაგიმზიანებს.

* * *

განა დაბალი ღობე ვარ,
ეველამ ზედ გადამიაროს,
მოეკასის გულისტკივილი
მე თუ არ გავიზიარო,
მა მამა–ჰაჰის გზა–კვალით
როგორღა უნდა ვიარო.

* * *

ძალა მქონდა ქადილისა,
თუმც არ ვიუავ მეტიჩარა,
დავბერდი და, ფიქრის გარდა,
აღარა მაქვს მეტი ჩარა.

* * *

მთელი სიცოცხლე ვნატრობ და ვცდილობ,
საკუთარ თავთან ვიეო მართალი,
მაგრამ არ ვიცი, რით მოვიცილო,
კაცი მოშურნე, ცრუ და ავთვალი.
როგორც მრავალ სხვას, მეც მაქვს ცოდვები,
ბევრჯერ ვერ ვიცავ უფლის ზოგ მცნებებს,
და გულზე მაწეეს, როგორც ლოდები,
რომ ვნებდებოდი სატანურ ვნებებს.

ფრანგებმა დედოფლისწყაროში კონცერტი გამართეს

28 ივნისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, კახეთის ფრანგულენოვანი ფესტივალის ორგანიზატორის ჟან პასკალის მოწვევით, კონცერტი გამართა ფანკ-სოულის მომღერალთა ჯგუფმა.

„უკვე 12 წელია კახეთის მხარესთან დამეგობრებული იონის დეპარტამენტის ორგანიზებით, თეატრალური ფესტივალის გახსნამდე, კახეთის მასშტაბით ტარდება კონცერტები სხვადასხვა ჟანრის მომღერლების მონაწილეობით. ფანკ-სოულის კონცერტები უკვე ჩატარდა ლაგოდეხში, ყვარელში, თელავში. ასევე, საგანგებო მიწვევით ფრანგმა მომღერლებმა კონცერტი გამართეს აზერბაიჯანშიც-ბელექანში. დღეს კი დედოფლისწყაროს ესტუმრნენ.“- განაცხადა კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის კულტურის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლეილა ლეგაშვილმა.

30 ივნისს ველისციხეში დაიწყება თეატრალური ფესტივალი, რომელშიც დედოფლისწყაროდან არბოშიკის საჯარო სკოლის პედაგოგ ნინო ბეროშვილის მოსწავლეებიც მიიღებენ მონაწილეობას.

დენით კიდევ ერთი მოზარდი გარდაიცვალა

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში დენის დარტყმის შედეგად გარდაცვალების მეორე შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. სოფელ გამარჯვებაში 23 წლის ბიჭის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ დენმა საზღვრისპირა სოფელ სამთაწყაროში 13 წლის მანანა ცეცხლაძესაც დაარტყა, მოზარდი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც თვითმხილველებმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, გოგონა ელექტრო-ქურას შეეხო, რა დროსაც დენმა გადაიტანა. მათი განცხადებით, მოზარდი საკუთარ სახლში საჭმლის მომზადებას ცდილობდა. ერთ-ერთი ვერსიით, გოგონა ქურაზე გაწყვეტილი სპირალის გადაბმას დამოუკიდებლად ცდილობდა, უბედური შემთხვევაც სწორედ ამ დროს მოხდა.

სოფელ სამთაწყაროში, შემთხვევის ადგილზე ჩასულ დედოფლისწყაროს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ჯგუფს არასრულწლოვანი გოგონა გარდაცვლილი დახვდა. ის სამთაწყაროს საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე იყო.

გარდაცვლილი მრავალშვილიანი ოჯახის შვილი იყო. ცეცხლაძეების ხუთშვილიან ოჯახს საცხოვრებელი ბინის პრობლემაც აქვს. თაღლითური სქემის წყალობით, რამდენიმე წლის წინ მათი ოჯახი საკუთარი ჭერის გარეშე დარჩა. ამ დროისთვის სოფელ სამთაწყაროში ისინი დროებით საცხოვრებელ ფართს აფარებენ თავს. ამას გარდა, ოჯახის დიასახლისი ონკოლოგიური ავადმყოფია. მერამდენე თვეა ოჯახს სოციალური მომსახურების სააგენტომ ყოველთვიური საარსებო შემწეობა შეუწყვიტა.

„ერთი დღით თურქეთში დასთან გადავედი, რომ როგორმე ორიოდ ლარი მეშოვნა და ბავშვები შიმშილით არ დამღუპვოდა. ვინაიდან საზღვარი გადავკვეთე და ეს ოფიციალურად დაფიქსირდა, დახმარების შეწყვეტის მიზეზი გახდა და ამჯერად ჩემო ოჯახი შემოსავლის გარეშე დარჩა,“ - აცხადებს დალი ცეცხლაძე.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ცეცხლაძეების მრავალშვილიანი ოჯახის წევრთა უმრავლესობას ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, რაც მათ ყოფას კიდევ უფრო ართულებს. ოჯახის კიდევ ერთ შვილს, 10 წლის გიორგი ცეცხლაძეს ახლახან თირკმელების მწვავე ნეფრიტი დაუდგინდა. რის გამოც სასწრაფო დახმარების გამოძახება ხშირად უხდებათ. მისი მკურნალობისთვის და მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხა კი ოჯახს არ გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ ცეცხლაძეებს სოციალური მომსახურების სააგენტოსგან ფულადი დახმარება შეუწყდათ, მათი ოჯახისთვის განკუთვნილი სამედიცინო პოლისი რამდენიმე თვის განმავლობაში კიდევ მოქმედებდა. სწორედ პოლისის დაფინანსებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი 10 წლის გიორგი ცეცხლაძე სამკურნალოდ თბილისში, რკინიგზის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის მკურნალობის კურსს ბინაზე ახლაც გადის. ცეცხლაძეები აცხადებენ, რომ მედიკამენტების დიდი ნაწილის შეძენას კვლავაც ვერ ახერხებენ.

„პოლისი რომ არ გვქონოდა, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვის თბილისში გადაყვანას ნამდვილად ვერ შევძლებდით. ამ შმთხვევაში სამედიცინო პოლისით ვისარგებლეთ, მაგრამ მალე ისიც გვიუქმდება და არ ვიცით რა გვეშველება. მკურნალობის კურსი თბილისში გაიარა, თუმცა მედიკამენტების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არ მიუღია. საჭირო თანხა არ გვაქვს და შეძენას ამ დრომდე ვერ ვახერხებდით,“ - აცხადებენ ცეცხლაძეები.

ილია მარტყოფლიშვილი



გახსენება

ჯემალ კირვალიძე



ჯემალ კირვალიძე დაიბადა 1947 წელს სოფელ არბოშიკში, 1966 წელს დაამთავრა არბოშიკის საშუალო სკოლა, რომლის შემდეგაც სწავლა რუსეთის ქალაქ კოსტროვოში სასოფლო— სამეურნეო ინსტიტუტში, ზოოტექნიკოსის სპეციალობით გააგრძელა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და მოღვაწეობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ჯემალ კირვალიძე ჯერ კიდევ ბავშვობიდან მღეროდა, იგი დაჯილდოვებული იყო ბუნებრივი ნიჭით და ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი გახლდათ. იყო ჯერ არბოშიკის სასოფლო გუნდის წევრი(ხელმძღვანელი შ.მენთეშაშვილი), ხოლო შემდეგ დედოფლისწყაროს ანსამბლ ,,ხორნაბუჯის“ წევრი, რომელთანაც ერთად ჯემალ კირვალიძე წლების განმავლობაში იდგა სცენაზე და გახლდათ არაერთი საკავშირო ფესტივალისლაურეატი თუ ჯილდოს მფლობელი ანსამბლ ,,ხორნაბუჯთან“ ერთად. შექმნა კარგი ოჯახი, გაზარდა სამი შვილი, ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მისი ოჯახის ყველა წევრი მღეროდა და უკრავდა ხალხურ ინსტრუმენტებზე. იგი იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, კარგი მეგობარი, სასურველი სუფრის წევრი და თამადა. ჯემალ კირვალიძის სახით კულტურის სფერომ დაკარგა საუკეთესო მუშაკი და კოლეგა. ჯემალ კირვალიძე დაიკრძალა სოფელ არბოშიკში.

კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების რაიონული ორგანიზაცია და ანსამბლი ,,ხორნაბუჯი“.

გახსენება

თამარ მგელიაშვილი

დაიბადა 1939 წელს სოფელ მაღაროსკარში, 8 კლასის დამთავრების შემდეგ სრულიად პატარა ბავშვი ოჯახთან ერთად ჩამოვიდა სოფელ ქვემო ქედში და აქ განაგრძო ცხოვრება. მაშინ ქვემო ქედის კულტურის სახლის დირექტორი გახლდათ ზაურ ჩოხელი და სრულიად პატარა ბავშვმა კულტურის სახლში დაიწყო მუშაობა რიგით თანამშრომლად. თამარ მგელიაშვილი გახლდათ ქართული ხალხური სიმღერის საუკეთესო მცოდნე, იგი მღეროდა და ძალიან კარგად უკრავდა ყველა ქართულ ხალხურ საკრავზე. ჰქონდა გამორჩეული სილამაზე და აქვე, ქვემო ქედში დაოჯახდა შოთა ბერიაშვილზე. დაოჯახების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბიბლიოთეკათმცოდნეობის განხრით, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქვემო ქედის ბიბლიოთეკის ფილიალის გამგედ. პარალელურად იყო ფოლკლორული თეატრალური დასის ,,ბარის ფშავლები“ ხელმძღვანელი, რომელთანაც პენსიაზე გასვლის შემდეგაც აგრძელებდა თანამშრომლობას. ბოლო პერიოდში მისი სიმღერები ჩაიწერა ერთ-ერთმა ცნობილმა ხმის ჩამწერმა სტუდიამ, თუმცა, როცა მათ ქალბატონ თამარს სიმღერების ჩანაწერი მოუტანეს, იგი ცოცხალი აღარ დახვდათ. თამარ მგელიაშვილმა სამი შვილი აღუზარდა სამშობლოს, ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი, მათგან ორი შვილი ლენინგრადში მოღვაწეობს, ერთი შვილი კი თბილისში.იგი გახლდათ ქალბატონი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ოჯახსა და კულტურის სფეროში მუშაობას მიუძღვნა, რისთვისაც ბოლო წვეთამდე დაიხარჯა. თამარ მგელიაშვილის სახით კულტურის სფეროს დააკლდა ულამაზესი და უძლიერესი პიროვნება, საუკეთესო მუშაკი, რომელიც გამოირჩეოდა ლამაზი ხმის ტემბრით, კარგი ადამიანობით და ლამაზი ღიმილით.

ნუ დაგვიხურავ გულის კარს,
შენი ხიბლი, ჩვენთის განძია,
მამა-პაპათა ფშაური
შენს გულში კელაპტრად ანთია.
სიკვდილი ვერ დაგამუნჯებს
ხმას ვერ გაგიხუნებს, ოხერი,
სამარის კარზედ გელიან
ზიგული და ზაურ ჩოხელი.

სახალხო მთქმელი ეთერ ჩოხელი.

პატივისცემით ,
კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირების დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაცია, ქვემო ქედის თეატრალური დასი ,,ბარის ფშავლები“ და მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი ნელი გოგეჯიშვილი.

თენგიზ ჯალიაშვილი, გუგული ალადაშვილი, თამაზ ჯანიაშვილი, ნოდარ გოგლიძე, ვასიკო საბიაშვილი, ნინა ყოჩიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ დარიკო, ვანო, ილია სუხიაშვილებს

კოლია სუხიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მანანა ჯანაშვილს მამიდის

დარეჯან ჯანაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1960-61 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

ცემზი მამუკელაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თინათინ სულაშვილს მამიდაშვილის

ცემზი მამუკელაშვილის

გარდაცვალების გამო.

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიებს დედოფლისწყაროს სერვისცენტრში შემდეგ თანამდებობებზე:

1. მოლარე

პოზიციის მიზანია ფულადი ოპერაციების ოპერატიულად, ზუსტად და უშეცდომოდ წარმოება მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის გზით.

2. მოლარე-ოპერატორი

პოზიციის მიზანია სერვის ცენტრის გაყიდვების ზრდის ხელშეწყობა, მომხმარებლებისათვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა.

3. ადმინისტრატორი

სავალდებულო მოთხოვნები

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკის, საბანკო სფეროს, მარკეტინგის, ტექნიკური საგნების მიმართულებით.

სამუშაო გამოცდილება: სასურველია მომსახურების და/ან გაყიდვების სფეროში მუშაობის მინ. 6 თვიანი გამოცდილება.

სავალდებულო ცოდნა, უნარები:

- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ენების ცოდნა: ქართული — თავისუფლად, სასურველია, მაგრამ არასავალდებულო რუსული და ინგლისური ენების ცოდნა;
- მომხმარებლების მომსახურების უნარ—ჩვევები (თავაზიანობა, მომხმარებლების დახმარების მზაობის და ყურადღების გამოხატვა, სწორი გადამისამართება);
- დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- გამოხატული ყურადღება დეტალების მიმართ;
- სიზუსტე და კარგი მეხსიერება;
- სხარტი, ლოგიკური აზროვნება, ინტუიცია;
- დაძაბულ, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- ემოციური წონასწორობა;
- ორგანიზებულობა;
- კოლეგიალურობა;
- საქმიანი და კონფიდენციალური სამუშაო გარემოს შექმნის უნარი.

შერჩევის საკონკურსო პროცედურა:

- **პირველადი გადარჩევა** — ბანკის სააპლიკაციო ფორმაში ფიქსირებული მონაცემების საფუძველზე;
- **მეორე ეტაპი** – ტესტირება;
- **მესამე ეტაპი** — ქეისის განხილვა;
- **მეოთხე ეტაპი** — გასაუბრება;

სააპლიკაციო პროცედურა:

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ სს „საქართველოს ბანკის“ სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, სს „საქართველოს ბანკის“ თელავის სერვისცენტრი; ქ. გურჯაანი, ნონეშვილის 12, სს „საქართველოს ბანკის“ გურჯაანის სერვისცენტრი; ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ 15, სს „საქართველოს ბანკის“ სიღნაღის სერვისცენტრი; ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, სს „საქართველოს ბანკის“ ყვარლის სერვისცენტრი; ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. 17, სს „საქართველოს ბანკის“ საგარეჯოს სერვისცენტრი; ქ. წნორი, აღმაშენებლის ქ. 38, სს „საქართველოს ბანკის“ წნორის სერვისცენტრი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: regionjob@bog.ge ***(გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება, რომელზეც აგზავნით სააპლიკაციო ფორმას.)***

სააპლიკაციო ფორმების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 6 ივლისი. გისურვებთ წარმატებას!

მგზავრთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ 1 ივლისიდან დედოფლისწყარო - თბილისის ხაზის სამარშრუტო ტაქსები თბილისიდან, ორთაჭალის ავტოსადგურის ნაცვლად, გამოვლენ „ისნიდან“, კერძოდ, მეტრო „ისანის“ გადასწვრივ პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან. დედოფლისწყაროდან მიმავალ მგზავრს, საჭიროების შემთხვევაში, ჩაიყვანენ ორთაჭალის სადგურამდე. უცვლელი დარჩება სამოძრაო გრაფიკი და ფასი.

ყურადღება, იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება გერმანული წარმოების პიანინო „როსლერი“ საუკეთესო მდგომარეობაში. ვიზუალურად მეტად ორიგინალურია: გადაწყვეტილია კომბინირებულად - ჩალისფერსა და შინდისფერში.

მსურველებმა დარეკეთ: 599 98 24 88 იკითხეთ ნინო.

სს საქართველოს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დეპარტამენტი აცხადებს ვაკანსიებს **დედოფლისწყაროში** შემდეგ თანამდებობებზე:

საკრედიტო ასისტენტი

ძირითადი მოვალეობები:

- მომხმარებლებთან ადგილზე ვიზიტის დაგეგმვა და განხორციელება;
- მომხმარებლებისათვის ბანკის მომსახურების სარგებლიანობის და საბანკო პროდუქტების პრეზენტაცია;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება და ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- პერიოდული უკუკავშირის მიღება პოტენციური მომხმარებლებისგან;
- სარეკლამო ბუკლეტების და ბროშურების დარიგება პოტენციური მომხმარებლებისათვის.

საკრედიტო ექსპერტი

ძირითადი მოვალეობები:

- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

სავალდებულო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;

სამუშაო გამოცდილება: მინ. 6 თვიანი მუშაობის გამოცდილება დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში.

სავალდებულო ცოდნა, უნარები:

- საკრედიტო პროდუქტების ცოდნა;
- დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
- ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
- გაყიდვების ტექნიკა;
- ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- სამუშაოს და დროის დაგეგმვის უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

უფროსი საკრედიტო ექსპერტი

ძირითადი მოვალეობები:

- საკრედიტო ექსპერტების, პრომოუტერებისა და საკრედიტო ასისტენტების საქმიანობის კოორდინაცია: ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, კოორდინაცია, გეგმების შესრულების და მუშაობის ხარისხის კონტროლი;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ სს საქართველოს ბანკის სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, სს საქართველოს ბანკის თელავის სერვისცენტრი; ქ. გურჯაანი, ნონეშვილის 12, სს საქართველოს ბანკის გურჯაანის სერვისცენტრი; ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ 15, სს საქართველოს ბანკის სიღნაღის სერვისცენტრი; ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, სს საქართველოს ბანკის ყვარლის სერვისცენტრი; ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. 17, სს საქართველოს ბანკის საგარეჯოს სერვისცენტრი; ქ. წნორი, აღმაშენებლის ქ. 38, სს საქართველოს ბანკის წნორის სერვისცენტრი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: regionjob@bog.ge ***(გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება, რომელზეც აგზავნით სააპლიკაციო ფორმას.)***

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 11 ივლისი, 2012 წელი.

ვიყიდი

შევიძენ ავტომობილ „ოპელ - ასტრას“; ფასი - შეთანხმებით (განვადებით). მსურველებს შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ნომერზე 568-36-17-99 იკითხეთ თამაზი.

იყიდება

საუკეთესო ხარისხის ნატურალური ენამთის ღვინო და არაყი. დარეკეთ 551-25-17-44 ან მოაკითხეთ: ქ. დედოფლისწყარო, ევდოშვილის III შესახვევი, ბინა №4. იკითხეთ გოგი

იყიდება!

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ: 571 55 99 51. იკითხეთ ლია. ფასი შეთანხმებით

ამინდი დედოფლისწყარო

	შაბათი 30.06	კვირა 01.07	ორშაბათი 02.07	სამშაბათი 03.07	ოთხშაბათი 04.07	ხუთშაბათი 05.07	პარასკევი 06.07
დღე	20°	14°	18°	15°	19°	22°	21°
ღამე	14°	12°	16°	14°	18°	19°	20°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეხრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K